



**თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

საქმე №28/4752-15

5 იანვარი, 2016 წელი

**სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი – ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, გოდერძი გიორგიშვილი**

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრების ავტორი - შპს „ა. კ.“

გასაჩივრებული განჩინებები – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინება (2015 წლის 4 აგვისტოს განჩინების გაუქმების შესახებ)

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინებების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივრებს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული



გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით (ტ. 1. ს.ფ. 202-205) ამხანაგობა „ფ. XX“-ის წევრების ი. შ.-ს, ნ. ი.-ს, ე. ნ.-ს და ვ. კ.-ს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „ა. კ.“-ს (ს/კ XXXXXXXXXX) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების გასხვისება:

ქ. თბილისი, ქუჩა ფ., #XX, მიწის საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX, დაზუსტებული ფართი 427.00 კვ.მ., შენობა ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა #1 (მშენებარე) საერთო ფართით 1979.21 კვ.მ., (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 1387.93 კვ.მ., საზაფხულო ფართი 132.8 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი 161.46 კვ.მ.), კომერციული ფართი 61.65 კვ.მ., ავტოსადგომის ფართი 235.46 კვ.მ.), მასზე განთავსებული საცხოვრებელი ფართები: საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XXX.XXX, ბინა #2, სართული მე-2/მე-3 (დუპლექსი) 62.84 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, ბინა #14, სართული 8, 214.19 კვ.მ., საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, სართული 6, ბინა #10, 80.62 კვ.მ., საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, სართული 7, ბინა #12, 80.63 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, სართული 7, ბინა #13, 141.91 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, სართული 4, ბინა #6, 78.88 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, სართული 4, ბინა #7, 139.85 კვ.მ..

აღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 15 ივლისს შპს „ა. კ.-ს“ დირექტორმა, ი. კ.-მ საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ტ.1. ს.ფ. 226-227).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 აგვისტოს განჩინებით (ტ.2. ს.ფ. 397-401) შპს „ა. კ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 01 ივლისის განჩინების გაუქმების შესახებ დაუსაბუთებლობის გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადმოეგზავნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებით (ტ.2. ს.ფ. 405-409) 1. ამხანაგობა „ფ. XX“-ის წევრების ი. შ.-ს, ნ. ი.-ს, ე. ნ.-ს, ვ. კ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 აგვისტოს განჩინების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 აგვისტოს განჩინება, რომლითაც ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 01 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე შპს „ა. კ.-ს“ (ს/კ XXXXXXXXXX) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ფ. ქ. #XX-ში მდებარე შემდეგი უძრავი ქონების გასხვისება: ა) ბინა #XX, სართული 8, საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX; ბ) სართული 7, ბინა #XX, საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX; გ) სართული 6, ბინა #XX, საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX; დ) სართული 4, ბინა #X, საკადასტრო კოდი: XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX.

აღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 1 სექტემბერს შპს „ა. კ.-ს“ წარმომადგენელმა, ზ. გ.-მ საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ტ.2. ს.ფ. 429).



თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით (ტ.2. ს.ფ. 463-464) შპს „ბ. კ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადმოეგზავნა.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად არ დააკმაყოფილა შპს „ბ. კ.-ს“ 2015 წლის 15 ივლისის საჩივარი, ხოლო 2015 წლის 1 სექტემბრის საჩივარი დაუშვებლად ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდე. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ექვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ექვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამდებრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხე შპს „ბ. კ.-სთვის“ მოსარჩელე ამხანაგობა „ფ. XX“-ის წევრების სასარგებლოდ 2009 წლის 02 აპრილისა და 2010 წლის 02 მარტის წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულებითა და 2010 წლის უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის სახით: ნ. ი.-სათვის 212380 აშშ დოლარის, ე. ნ.-სათვის 60680 აშშ დოლარის, ვ. კ.-სათვის 83435 აშშ დოლარის და ი. შ.-სათვის 257890 აშშ დოლარის, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით: ნ. ი.-



სათვის 62439.72 აშშ დოლარის, ე. ნ.-სათვის 17839.92 აშშ დოლარის, გ. კ.-სათვის 24529.89 აშშ დოლარისა და ი. შ.-სათვის 75819.66 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება წარმოადგენს (ტ.1. ს.ფ. 10).

პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ უძრავი ქონების გადაცემის შესახებ 2010 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობამ მოპასუხეს საკუთრებაში გადასცა კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მდებარე, ქ. თბილისი, ფ.-ს ქ. #XX, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX (ს.ფ. 78-86).

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი - აღსრულებს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით უზრუნველყოფის ღონისძიება - გასხვისების აკრძალვა, გამოყენებულია, როგორც მიწის ნაკვეთზე, ასევე მასზე განთავსებულ საცხოვრებელ ბინებზე (იხ. ტ. 1. ს.ფ. 202-205).

მოპასუხის პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას ითხოვს, პალატა განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება და, შესაბამისად, მისი გასხვისების აკრძალვისაგან გამოთავისუფლება, მხოლოდ მხარეთა შორის მორიგების წინაპირობა შეიძლება იყოს, ვინაიდან პალატა გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად მიიჩნევს, ვინაიდან პალატა, ამ ეტაპზე, მოსარჩელეთა უფლებების დაცვის სხვა საპროცესო-სამართლებრივ ალტერნატივას ვერ ხედავს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შესრულებას არ ეხება, შესაბამისად, ადგილი არ აქვს ვალდებულების საგნის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის დაკმაყოფილების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაა, რაც წარმოდგენილი სარჩელის მიხედვით, 738 814,19 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარია. საქმეში წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მასზედ, რომ ქ.თბილისში, ს.-ს ქ. (ყოფ. ფ.-ს ქ.) №XX-ში მდებარე მშენებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული შავკარკასულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი ფართის 1 კვ.მ - ის საბაზრო ღირებულება, 2015 წლის ივნისის თვის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, 1 000 აშშ დოლარს შეადგენს. ამავე დასკვნისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მშენებარე კორპუსში საცხოვრებელი ფართი 1 387,93 კვ.მ. -ია, რაც იმას ნიშნავს, რომ მშენებარე კორპუსში მთელი საცხოვრებელი ფართის ღირებულება, ამ ეტაპისათვის, საორიენტაციოდ 1 387 000 აშშ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, მითითებული ღირებულების ქონება სწორედაც, რომ სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატურია, რადგან, როგორც წესი, დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულება



ამგვარ პირობებში აუქციონის წესით უძრავი ქონების რეალიზაციის ხარჯზე ხდება. აქვე გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ მესამე პირზე რეგისტრირებული ფართი შპს „ა. კ.-ს“ ვალდებულების უზრუნველსაყოფად სარეალიზაციოდ ვერ მიექცევა. განსახილველ შემთხვევაში, ამგვარ ფართს ნ. მ.-შ.-ს სახელზე აღრიცხული ფართი წარმოადგენს (ს/კ XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX). ამდენად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გაიზიაროს საჩივრის ავტორის მოსაზრება მასზედ, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატური არ არის. პალატა დამატებით განმარტავს, რომ ფულადი მოთხოვნის არსებობის პირობებში, ქონების ღირებულება ფულად მოთხოვნას უნდა აღემატებოდეს, რადგანაც სწორედაც, რომ აუქციონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქონება აუქციონზე დაბალ ფასში, კერძოდ კი, განახევრებულ, გამეოთხედებულ ან ნულოვანი შეთავაზების პირობებში, გადის. შესაბამისად, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, არსებული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებას, სწორედაც, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ არაფორმალური მიდგომის გამო.

პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობაზე. პალატა განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მხოლოდ მოთხოვნის იურიდიული მართებულობა მოწმდება, მოთხოვნის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობა სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანია. შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპზე პალატა ვერ იმსჯელებს, თუ რამდენად საფუძვლიანი, დასაბუთებული და დასაკმაყოფილებელია სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ამდენად, თუ საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, იგი უფლებამოსილია შესთავაზოს სასამართლოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება და მოითხოვოს უძრავ ნივთზე ყადაღის სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, მისთვის უფრო მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით.

პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს მასზედ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით (ტ.2. ს.ფ. 463-464) შპს „ა. კ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებაზე მართებულად იქნა დაუშვებლად ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 სექტემბერს შპს „ა. კ.-ს“ საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი (ტ.2. ს.ფ. 432-433), აღნიშნული განჩინება, შპს „ა. კ.-ს“ წარმომადგენელს, ზ. გ.-ს 2015 წლის 17 სექტემბერს ჩაბარდა (ტ.2. ს.ფ. 442) და მას სასამართლოსთვის ხარვეზის შევსების მიზნით დადგენილ ვადაში არ მიუმართავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ შპს „ა. კ.-ს“ საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებაზე (2015 წლის 4 აგვისტოს განჩინების გაუქმების შესახებ) არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატა აქვე დამატებით განმარტავს, რომ რეალური ან მოსალოდნელი ზიანის არსებობის პირობებში, მოპასუხე შეზღუდული არ არის კვლავ მომართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების მოთხოვნით და ნაცვლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებისა, მოსარჩელეს ისეთი ღონისძიება შესთავაზოს, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ხოლო მოსარჩელეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ



ბერკეტებს შეუქმნის, მაგალითისათვის, უფლებრივად დაუტვირთავი ქონების შეთავაზება, თანხის დეპოზიტზე განთავსება და ა. შ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

და ა დ გ ი ნ ა

1. შპს „ა. კ.-ს“ საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინება (2015 წლის 4 აგვისტოს განჩინების გაუქმების შესახებ);
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

გოდერძი გიორგიშვილი

ნატალია ნაზღაიძე